შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№43 (9.852)

10 – 17 ნოემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მახსოვს 7 ნოემბერი!

გვ. 4

ევროკავშირის ელჩი საქართველოში – მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო წარმომადგენლებისა და რუსეთის მესაზღვრეების მიერ“

გვ. 2

ფიროსმანის ნამუშევრები დიუსელდორფის ხელოვნების მუზეუმში გამოიფინება

გვ. 2

„თანხმობა ვუთხრათ საქართველოს განვითარებას და დემოკრატიული პროცესების გაგრძელებას...“

გვ. 3

ნიკოლოზ ჯანიაშვილი:

„მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროელებს და ჩვენს ამომრჩეველს. დედოფლისწყაროში ერთგული ხალხი ცხოვრობს, რომელთაც გული შესტკივათ თავისი ქვეყნის განვითარებაზე. ჩვენს ოლქში საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, 53% მოაგროვა და ერთ-ერთი მაღალი მხარდაჭერა დედოფლისწყაროში მიიღო“.

სოფელ-სოფელ ხშირად დავდიოდი და უშუალო კომუნიკაციით ბევრი შევცვალეთ. ამომრჩეველთან ყოველთვის მჭიდრო კონტაქტი მაქვს და კაბინეტში არ ვზივარ. სოციალურ პაკეტშიც ბევრი რამ გავაუმჯობესეთ“.

დედოფლისწყაროელ 26 წარმატებულ მოსწავლეს ლეპტოპები გადასცეს

სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის კახეთის რეგიონის 332 მოსწავლე, მათ შორის 26 დედოფლისწყაროელი, პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდა. ღონისძიება ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 8 ნოემბერს, „ილიაობის“ დღესასწაულზე გაიმართა.

მოსწავლეთა წახალისების პროექტი, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მერამდენე წელია ახორციელებს, მიზნად ისახავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობას. თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

პროექტის ბენეფიციარები საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, რომელთაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა.

შირაქში აღმოჩენილი განძი

გვ. 3

„ამ ოდენობის ბრინჯაოს ნივთები იშვიათია... ექსპედიციისთვის უფრო საინტერესო სხვა ადგილი საქართველოში არ მეგულება“

ისევ ავარია, ისევ მსხვერპლი



გვ.7

ბიძინა ივანიშვილი ნაციმოძრაობაზე — მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დანგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად

მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დანგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად!, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების„ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალურ მოძრაობაზე„ საუბრისას, საზოგადოებისადმი მიმართვაში აცხადებს.

ივანიშვილის განმარტებით, არ შეიძლება მივცეთ საშუალება „ქართული ოცნების„ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, „რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღირებულების მოსპობა სურს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის„.

„როცა ხელისუფლება შორდება ხალხს, ის კარგავს ხალხის ნდობას, და ახლა მინდა ვთქვა ყველას გასაგონად:

ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს მხოლოდ ხალხის მსახურებისთვის. არავინ იფიქროს, რომ პარტიას რაიმე თავისთავადი ღირებულება გააჩნია. იგი არის საშუალება, რომლითაც უნდა მივაღწიოთ უზენაეს მიზანს - ხალხის უკეთეს მომავალს. ამიტომაც, თუ „ქართული ოცნება„ ვერ მუშაობს, თუ მისმა რომელიმე შტომ ხალხის მსახურებაში არ ივარგა, მე პირველი წავალ მათ წინააღმდეგ. მაგრამ არ შეიძლება მივცეთ საშუალება ამ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღირებულების მოსპობა სურს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის. ამ შეცდომებს სწორი დანახვა და კრიტიკა უნდა. ოპონენტები კი სრული სიმძლავრით ჩართული სიცრუის მანქანით ცდილობენ ყველაფრის გადახაზვას. მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დანგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად!„, - აცხადებს ივანიშვილი.

მისივე შეფასებით, ოპონენტები მხოლოდ ტყუილზე დაფუძნებულ კამპანიას ატარებენ.

„ხალხს ურცხვად პირდებიან იმას, რაც საპარლამენტო წყობაში საპრეზიდენტო უფლებამოსილებას სრულად ცდება და, ამავე დროს, ღიად გვიანონსებენ ადამიანის წამებასა და ჩაგვრაში ბრალდებულების გათავისუფლებას, რაც საზოგადოების შეურაცხყოფის გარდა, პირდაპირ დესტაბილიზაციის საფრთხის მატარებელია„, - აცხადებს ივანიშვილი.

პენსიონრებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს, - ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების„ თავმჯდომარებიძინა ივანიშვილი საზოგადოებისადმი მიმართვაში აცხადებს.

ივანიშვილის განმარტებით, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიდუხჭირე, რის შესაბამისადაც, საჭიროა გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრძნობიარე ჯგუფებისთვის.

„2012 წელს ჩვენ მოვიშორეთ ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი. გავიარეთ ურთულესი პერიოდი და თან ვცდილობდით, ქვეყანა სტაბილური განვითარების რელსებზე გადაგვეყვანა. ამ გზაზე ბევრ მნიშვნელოვან წარმატებასაც მივაღწიეთ:

სახელმწიფო რეკეტისგან გათავისუფლდა ბიზნესი, თავისუფალია მედია, განხორციელდა არა ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამა; ურთულეს ეკონომიკურ გარემოში მოვიპოვეთ რეგიონული ლიდერობა და მრავალი სხვა.

საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები სულ უფრო რეალურ პერსპექტივაში განიხილავენ ჩვენი ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრირებას.

უამრავი რისკის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი სტაბილური განვითარების წლები.

და მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიდუხჭირე. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრნობიარე ჯგუფებისთვის. ბევრი პოპულისტისგან განსხვავებით, ბუნებრივია, არ ვისაუბრებ კონკრეტულ ციფრებზე, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი, რომ პენსიონრებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს! მათზე ზრუნვა ჩვენი ღირსების საქმეა და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!„, - აცხადებს ივანიშვილი.

მინდა შეგახსენოთ, რაც არჩევნებამდეც განვაცხადე - მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო, რომ ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდეს, - ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების„ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებისადმი მიმართვაში აცხადებს.

მისივე განმარტებით, „ახლა მთავარია, ხელისუფლებასა და ცალკეულ ჩინოვნიკებზე გაბრაზებულებმა, ხელისუფლების დასჯის სურვილით, საკუთარი მომავალი და საკუთარი ქვეყანა არ დავსაჯოთ და არ გადავყაროთ წყალში ყველაფერი, რაშიც 2012-ში სიცოცხლე ჩავდეთ„.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღირსების დასაცავად და ერთად შევძლებთ ადამიანზე ორიენტირებული, თანამედროვე საქართველოს შენებას!„, - აცხადებს ივანიშვილი.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში —

მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო წარმომადგენლებისა და რუსეთის მესაზღვრეების მიერ“

ჩვენ მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა სოფელ ატოცში, საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მავთულხლართების მონტაჟის კომენტირებისას განაცხადა.

„ჩვენ მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო წარმომადგენლებისა და რუსეთის მესაზღვრეების მიერ. აშკარაა, რომ ეს ქმედება შეზღუდავს ხალხის უფლებებს, გაყოფს ოჯახებს და ხალხის ცხოვრებას გაართულებს. ვერანაირ საბაბს ვერ ვხედავ ამ ქმედებების განსახორციელებლად. ამ მავთულხლართების აგება ცუდი ჩანაფიქრია. რაც შეეხება იმას თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ დაძაბულობა დაცხრეს, აღდგეს დიალოგი და ცხელი ხაზის დაბლოკვის საბაბი არ არსებობს“, - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა.

გაეროს ბავშვთა ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის ინიციატივას, გაზარდოს სოციალური დახმარება ყველაზე დაუცველი ბავშვებისათვის

გაეროს ბავშვთა ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის ინიციატივას, გაზარდოს სოციალური დახმარება ყველაზე დაუცველი ბავშვებისათვის, - ამის შესახებ UNICEF-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„გაეროს ბავშვთა ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაუმჯობესებისა და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობის შემცირების მიზნით.

გაეროს ბავშვთა ფონდის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის„ თანახმად, მიზნობრივი სოციალური დახმარება ახლა უკეთ ხედავს ბავშვიან ღარიბ ოჯახებს და ბავშვის დანამატთან ერთად ხელს უწყობს ბავშვთა სიღარიბის შემცირებას.

ვაფასებთ რა პოზიტიურად მთავრობის ამ გადაწყვეტილებას, ასევე ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა განახორციელებს დამატებით ღონისძიებებს იმ ღარიბი ბავშვების დასახმარებლად, რომლებსაც ვერ ფარავს მიზნობრივი დახმარების პროგრამა. ჩვენ ასევე იმედი გვაქვს, რომ მთავრობა მოახდენს კვების ვაუჩერების ეფექტიან ადმინისტრირებას, რომ ამ სიკეთით მაქსიმალურად ისარგებლონ ოჯახებმა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებმა ოჯახებმა.

გაეროს ბავშვთა ფონდი განაგრძობს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ბავშვთა სიღარიბის შემცირების მიმართულებით, რათა ბავშვებმა საქართველოში ისარგებლონ უკეთესი განათლებით, გაიზარდოს მათი სოციალური ინკლუზია და მათ შეძლონ თავიანთი პოტენციალის სრული განვითარება„, - ნათქვამია „ბავშვთა ფონდის„ ინფორმაციაში.

მამუკა ბახტაძე საერთაშორისო ფორუმზე — გადავწყვიტეთ, საქართველო გვექცია მწვანე ეკონომიკის ლიდერ ქვეყნად

გადავწყვიტეთ, საქართველო გვექცია მწვანე ეკონომიკის ლიდერ ქვეყნად, - ამის შესახებ ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის ფორუმის თემატურ დისკუსიაზე "ვაჭრობა და ინვესტიციები" სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ამ გზაზე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ძლიერ ადამიანურ კაპიტალს, განსაკუთრებით თანამედროვე სამყაროში, როდესაც მხოლოდ უპირატესი ცოდნისა და უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო ქმნიან ფასეულობას.

„სულ ახლახან გადავწყვიტეთ, საქართველო გვექცია მწვანე ეკონომიკის ლიდერ ქვეყნად და ამას ვაპირებთ მდგრადი ბიზნესპრაქტიკის წახალისებით და სამთავრობო ინიციატივების შემუშავების მხარდაჭერით, რომელიც მიზნად დაისახავს ნახშირბადის ემისიის მნიშვნელოვან შემცირებას და ბუნებისადმი ნამდვილად კეთილგანწყობილ ერად ჩამოყალიბებას. საკუთარი ქვეყანა წარმოგვიდგენია ისეთ ადგილად, სადაც არ ხდება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება. ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას მოვახდენთ და ჩვენს ჰიდრორესურსებს გამოვიყენებთ ელექტროენერგიის წარმოებისთვის მხოლოდ მდგრადი ენერგეტიკული წყაროების გამოყენებით.

ამ გზაზე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ძლიერ ადამიანურ კაპიტალს, განსაკუთრებით თანამედროვე სამყაროში, როდესაც მხოლოდ უპირატესი ცოდნისა და უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო ქმნიან ფასეულობას. ეს ასე არ არის რამდენიმე შემთხვევაში, თუმცა, ჩვენ ვერ დავუშვებთ ხარვეზების არსებობას ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში. ზუსტად ამ მიზეზით წამოვიწყეთ ძალიან კომპლექსური და ყოვლისმომცველი რეფორმა. ვაპირებთ, განათლების სექტორს ყოველწლიურად მოვახმაროთ ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილობრივად ორციფრიანი ასიგნებები“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ფიროსმანის ნამუშევრები დიუსელდორფის ხელოვნების მუზეუმში გამოიფინება

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში მდებარე საექსპოზიციო სივრცე 5 თვის განმავლობაში ნიკო ფიროსმანაშვილის მირზაანის სახელმწიფო მუზეუმისა და ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულ ნამუშევრებს დაეთმობა.

გამოფენაზე სახელწოდებით K20-Kunstsammlung NRW, მიმდინარე წლის 10 ნოემბრიდან 2019 წლის 10 მარტამდე ქართველი მხატვრის ნამუშევრები: „მალაკნების ქეიფი„, „ხილის დუქანი„, „ორთაჭალის ტურფა„ და ნატურმორტი პაბლო პიკასოს, ამადეო მოდილიანის, მარკ შაგალის, ვასილი კანდინსკის, კაზიმირ მალევიჩისა და სხვათა ნამუშევრებთან ერთად იქნება ექსპონირებული.

წინასაგამოფენო მზადების პროცესში ჩართულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური, რომელსაც დიუსელდორფში სამსახურის უფროსის მოადგილე ირმა დოლიძე წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხრიდან კი ქართულ დელეგაციას კონსერვატორი ეველინა კარსელი უხელმძღვანელებს.

გამოფენა სახელად Museum global - Microhistories of an Ex-centric Modernism, მოიცავს 1910-1960 წლების პერიოდს. ამ დროისათვის გამოფენა მზადების პროცესშია.

„თანხმობა ვუთხრათ საქართველოს განვითარებას და დემოკრატიული პროცესების გაგრძელებას...“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აფასებს. რა გზავნილები მიიღო ხელისუფლებამ საზოგადოებისგან, რამ გამოიწვია ასეთი შედეგი და რას შეცვლის „ქართული ოცნება“ სამომავლოდ, რა მოლოდინი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელს და რა უნდა შეცვალონ მაღალჩინოსნებმა ამომრჩევლის ნდობის დასაბრუნებლად, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ბატონო ნიკოლოზ, პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილის ბოლო მიმართვაზე მინდა გკითხოთ, რა უთხრა მან საზოგადოებას და რა დაინახა ხელისუფლებამ არჩევნების შედეგებით?

— ცხადია, მოვისმინე ბიძინა ივანიშვილის მიმართვა ქართველი ერისადმი. საკმაოდ დროული მიმართვა იყო და ვფიქრობ, რომ ზუსტი პასუხი გასცა ყველა იმ გამოწვევას, რომელიც გამოჩნდა პირველი ტურის შემდეგ. ის საზოგადოებისგან მიღებულ ყველა გზავნილს გამოეხმაურა. მან აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ ახლა, როდესაც ქვეყნის მომავალზე და ხვალინდელ დღეზე ვსაუბრობთ, დრო, პირადი წყენა ყველამ დავივიწყოთ და წინ სახელმწიფოებრივი ინტერესები დავაყენოთ. შესაძლოა, პატარა წყენები იყო სოფლებში სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი უზრუნველვყოთ. თანხმობა ვუთხრათ საქართველოს განვითარებას და დემოკრატიული პროცესების გაგრძელებას. მეორე ტურში სწორი არჩევანი გავაკეთოთ, უარი უნდა ვუთხრათ რევანშისტული ძალების დაბრუნებას და ძალადობრივ რეჟიმს. როცა შიშის და დიდი წნეხის ფონზე არ გატყდა ხალხი და ამ სასტიკ რეჟიმს 2012 წელს უარი უკვე უთხრა. მათ ყველაზე მძიმე მომენტში არ შეუშინდა ერი და წარმოუდგენელი ძალადობის ხანაში მშვიდობით გაისტუმრა.

მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროელებს და ჩვენს ამომრჩევლებს. დედოფლისწყაროში ერთგული ხალხი ცხოვრობს, რომელთაც გული შესტკივათ თავისი ქვეყნის განვითარებაზე. ჩვენს ოლქში საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა ქალბატონმა სალომემ, 53% მოაგროვა და ერთ-ერთი მაღალი მხარდაჭერა მიიღო დედოფლისწყაროში. ნაციონალების კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ ჩვენს მუნიციპალიტეტში იმის ნახევარი მხარდაჭერაც ვერ მოიპოვა, რაც სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა.

— რატომ დადგა ეს შედეგი, რა მიზეზს ხედავთ და თქვენ რა მიდგომებს შეცვლით სამომავლოდ?

— ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა - ნაკლები კომუნიკაცია იყო ხალხთან, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ტელე სივრცე დახურულია და ამის საპირწონედ შავი პიარის ნიაღვარი მოდის. ამიტომ, როცა არ გაქვს საშუალება ტრიბუნა გამოიყენო, საუკეთესო გამოსავალია ყოველდღიურ რეჟიმში სოფლებში უბან-უბან სიარული. აქამდეც ასე ვიქცეოდით და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. როგორც ხალხის მიერ არჩეული მერი, ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია ადგილზე ჩასვლა და თითოეული ამომრჩევლის მოსმენა, მათი გასაჭირის გულთან მიტანა და დროული რეაგირება. იქნება საკადრო ცვლილებებიც. ვინც ეფექტურად ვერ მუშაობს, დროა წავიდეს...

— ხშირად საუბრობენ, რომ ხელისუფლებას პიარი აკლია და გაკეთებული საქმეები არ შუქდება. მოკლედ რომ გვიამბოთ, რის გაკეთება შეძელით დედოფლისწყაროში?

— ქუჩებისა და გზების კეთილმოწყობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჯანდაცვის სფეროც კმარა. დღეს ავადმყოფობის გამო მოქალაქეებს სიკვდილი არ უწევთ, სახლებს აღარ ყიდიან და ჯანდაცვის სისტემა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. მერიასაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ამაში. ადგლობრივი ბიუჯეტიდანაც მიემართება საკმაოდ სოლიდური თანხები სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად. კოლოსალურ თანხებზეა საუბარი. დედოფლისწყაროდან 20-მდე ადამიანი ჩართულია C ჰეპატიტის ელიმინაციაში, 300 000 ლარის ღირებულებისაა თითოეული ადამიანის მკურნალობა. ეს საკმაოდ წარმატებული პროექტია.

სკოლამდელი განათლებაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი შვილები ჩვენი ქვეყნის მომავალია. ჩვენთან 17 საბავშვო ბაღია, ყველა მათგანი გარემონტებულია, აღჭურვილია ინვენტარით, ატრაქციონებით და ყველაფრით. 6 წლის წინ მშობლები თანხას იხდიდნენ ისეთ ბაღებში, სადაც არ იღო დენი, გათბობა და სათანადო ინფრასტრუქტურა, მათ შორის საჭმელიც სახლიდან უნდა წაეღოთ. ბევრი მათგანი გადასახადის დაფარვას ვერ ახერხებდა, ამიტომ ბავშვების უმრავლესობა სახლში იზრდებოდა და საბავშვო ბაღებში არ უვლიათ. ამაზე ის გარემოებაც მოწმობს, რომ გადასახადის გაუქმებისთანავე ბაღები კონტინგენტი გათხმაგდა. ამის გამო დამატებითი ჯგუფების გახსნა და პერსონალის დამატებაც დაგვჭირდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს დედოფლისწყაროში საბავშვო ბაღებში 335 ბავშვი დადიოდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან წლიურად 435 000 ლარი გამოიყოფოდა. წლევანდელი ბიუჯეტით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის 1 800 000 ლარია წლიური დაფინანსება და ჯამში 1 100 ბავშვია რეგისტრირებული. აქვთ საკმაოდ კარგი მენიუ, 4-ჯერადი კვება და ხარისხიანი პროდუქტები. განახლებული ინფრასტრუქტურა. სურსათის უვნებლობამ შეამოწმა და ყველაზე კარგი ვითარება სწორედ დედოფლისწყაროშია. კეთილმოწყობილი შენობები და ყველანაირი საშუალება აქვთ და ეს ყველაფერი მათთვის სრულიად უფასოა.

5 წელია, დედოფლისწყაროს ვხელმძღვანელობ, ვცდილობდი, ყოველთვის ახლოს ვყოფილიყავი მოსახლეობასთან და მათ პულსზე ხელი მდებოდა, უბან-უბან, სოფელ-სოფელ ხშირად დავდიოდი და ადამიანებთან უშუალო კომუნიკაციით ბევრი რამ შევცვალეთ. მიმაჩნია, რომ ჩემს ამომრჩეველთან ყოველთვის მჭიდრო კონტაქტი მაქვს და კაბინეტში არ ვზივარ. სოციალურ პაკეტშიც ბევრი რამ გავაუმჯობესეთ. წელიწადში სამჯერ მაინც გვიწევს სოცპაკეტის გაუმჯობესება. როგორც კი თანხები მობილიზდება და დამატებითი საშუალება გვაქვს, ვზრდით სოციალურ პაკეტს. ბოლო ხანს მრავალშვილიანების დახმარებაც გავზარდეთ. როგორც კი საზოგადოებაში რაიმე მოთხოვნა ჩნდება, ვცდილობთ ეს ბიუჯეტში აისახოს და სოციალურ პაკეტში ჩავდოთ. დედოფლისწყარო ტერიტორიით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტოლია და არ გაგვაჩნდა საავადმყოფო. ქართული ოცნების დანაპირები შესრულდა და თანამედროვე, ევროპული ტიპის საავადმყოფო გვაქვს და მოსახლეობას არ სჭირდება რაიონს გარეთ გასვლა. სამი ახალი, მაღალი გამავლობის გერმანული სასწრაფო დახმარების მანქანა ემსახურება მუნიციპალიტეტს, მანამდე მხოლოდ ერთი ძველი ტიპის, ამორტიზებული მანქანა იყო. გაკეთებული საქმე ბევრია და ჩვენი მოსახლეობა ამას ხედავს. არჩევნების ასეთი შედეგი კი განაპირობა იმან, რომ ბევრი სიცრუის ტირაჟირება ხდება და ტელეეთერით აგრესიის მთელი ნიაღვარი მოდის. განსაკუთრებით ასაკოვან ამომრჩევლებს ასმენინებდნენ ისეთ რამეს, რისი მოსმენაც მათ ყველაზე მეტად გაახარებთ. მათი მოტყუება გაცილებით ადვილია. კონსტიტუციით პრეზიდენტს ამ დაპირებების შესრულება არ შეუძლია, თუმცა, როგორც ჩანს, ამ სატყუარამ იმუშავა. არადა, პრეზიდენტი ვერც პენსიას გაზრდის და არც ამინისტიის აქტის გამოცემა შეუძლია.

— თქვენი აზრით, არსებობს შანსი, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს და რამდენად სარწმუნოა, რომ მათი დაბრუნების შემთხვევაში ძალადობა აღარ განმეორდება?

— ყოველთვის მჯერა ძველი ანდაზების და ხალხური გამოთქვების, რადგან აქ დიდი სიბრძნეა ჩადებული. ნათქვამია, „ძაღლის კუდი არ გასწორდებაო“ „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ და სხვა მრავალი. ამიტომ, არ მჯერა ამ რეჟიმის გამოსწორების. როდესაც წინასაარჩევნო შეხვედრებზე სოფლებში მოსახლეობას ვხვდებოდი, იქაც ვსაუბრობდი. ამხელა აჟიოტაჟია, ამდენი ტალახის სროლა, ამდენი ნეგატივი მოდის. საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ და პრეზიდენტის ფუნქციები შეზღუდულია. უფრო წარმომადგენლობითი თანამდებობაა, მაგრამ მაინც აჟიოტაჟია ამ ადგილის მისამართით. დარწმუნებული ვარ, ეს ძალა რევანშისთვის ემზადება. დღემდე ვერ მოუნელებიათ, რომ, როცა ძალაუფლების ზენიტში იყვნენ, ქართველი ხალხი ერთ მუშტად შეიკრა და პირველად ისტორიაში მოუწიათ ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარება. ახლაც ამიტომ მიდიან სიტუაციის გამწვავებაზე და ყველა მეთოდით ცდილობენ დაბრუნებას და რევანშს. მმართველი ძალა არ კადრულობს ტყუილს და აგრესიას. ამ რთულ პერიოდში, როცა სულ ტალახი მოდიოდა და პირად შეურაცხყოფაზე იყო აგებული წინასაარჩევნო კამპანია, ქალბატონ სალომეს კონკურენტზე ერთი გადაბრუნებული ფრაზა არ უთქვამს და ძალიან კორექტულად წარმართავს კამპანიას. ამ პარტიას თუ მიტევება აქვს განზრახული და რევანში არ სურს, ასეთი აგრესია არც ახლა არ უნდა მოდიოდეს მათი მხრიდან.

ილია მარტყოფლიშვილი

შირაქში აღმოჩენილი განძის პრეზენტაცია

ილიაუნის მკვლევარებმა და სტუდენტებმა, დედოფლისწყაროში, არქეოლოგიური გათხრების დროს განძი იპოვეს. უპრეცედენტო ოდენობის ბრინჯაოს ნივთები დიდნაურის ნაქალაქარის ციტადელში აღმოაჩინეს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალლეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მკვლევარების ერთობლივი ექსპედიცია შირაქში, მთა ნაზარლებზე მდებარე გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნაქალაქარს სწავლობს. 30 ოქტომბერს, ილიას უნივერსიტეტში ექსპედიციის და განძის შესახებ ისაუბრეს.

ილიაუნი რექტორის მოადგილე ნინო დობორჯგინიძე აცხადებს, რომ მსგავსი ღონისძიებები სწავლების ინტერნაციონალიზაციის უმთავრესი ინსტრუმენტია, რადგან სტუდენტები ადგილობრივ და უცხოელ მეცნიერებთან ერთად უშუალოდ არიან ჩართული დედოფლისწყაროს არქეოლოგიურ სამუშაოებში და დიდ გამოცდილებას იღებენ.

„ექსპედიცია მნიშვნელვანია. ჩვენ გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტთან გვაქვს ყოველწლიური არქეოლოგიური ექსპედიცები და მათ შორისაა ჰალლეს უნივერსიტეტი, გერმანიის კვლევითი საზოგადოება, რომლებიც მუდმივი მხარდამჭერები არიან. პროექტის ფარგლებში, რომელსაც „კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან„ ეწოდება, უკვე მეორე წელია ეს ექსპედიცია მიმდინარეობს. წელს აღმოჩნდა მართლაც უპრეცედენტო რაოდენობის ბრინჯაოს ნივთები. სინჯები უცხოურ ლაბორატორიებში დამუშავების პროცესშია. ექსპედიციაში ძირითადად მუშაობენ ჩვენი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მათ ხელმძღვანელთან ერთად. ისინი ადგილზე იკვლევენ ყველაფერს, სწავლობენ ამ არქეოლოგიური გათხრების დროს. არქეოლოგიური განყოფილების ყველა სამაგისტრო პროგრამა უშუალოდ ამ კვლევებზეა მიბმული. მომავალ წელს, ამ მიდამოებში ისევ გაგრძელდება ექსპედიცია. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვანია სასწავლო და კვლევითი კუთხით“ — განაცხდა ნინო დობორჯგინიძემ.

ილიაუნის პროფესორი პაატა ბუხრაშვილი, რომელიც თავადაც ექსპედიციის მონაწილეა ამბობს, რომ აღმოჩენილი ნივთები იშვიათი და უპრეცედენტო რაოდენობისაა.

„ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია ჯერ იმით, რომ ასეთი რაოდენობის ბრინჯაოს ნივთები ძალიან იშვიათია. არის შუბისპირები, მახვილი, სატევარი, 450 ცალი ბრინჯაოს მახვილის იმიტაცია. ბრინჯაოს ნივთების გარდა, აღმოჩენილია სატაძრო ნაგებობა, რომლიც მსგავსიც ადრეა 1976-78 წლებში იქნა გათხრილი, ოღონდ სხვა რეგიონში, ყვარელში. ეს ივრის ზეგანზეა, თუმცა მსგავსია არქიტექტურული ფორმები და ინტერიერის მოწყობა; გამომდინარე აქედან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის დიდი კულტურული ტრადიციების და რელიგიური დანიშნულების ცენტრი. ადრეც იყო ნავარაუდევი, რომ მსგავსი აღმოჩენა შესაძლებელი იყო, პერიოდი სავარაუდოდ გახლავთ გვიანი ბრინჯაოს ხანა„“— განმარტა პაატა ბუხრაშვილმა.

ექსპედიციის კიდევ ერთი მონაწილე პროფესორი გურამ ყიფიანი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ ეგულება ადგილი, რომელიც ამ ეტაპზე კვლევების ჩასატარებლად, უფრო საინტერესო იქნება.

„ექსპედიციაში აქტიურად იყო ჩართული გერმანული მხარე ჰალლეს უნივერსიტეტიდან და ქართული მხარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მართლაც შთამბეჭდავია, არ მეგულება 21-ე საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე უფრო საინტერესო აღმოჩენა, ვიდრე ეს არის. საუბარია ბრინჯაოს განძზე, მათ შორის რამდენიმე ნივთი უნიკალურია, მაგალითად ორმხრივი ცული, რომელიც ჩემი აზრით, ალბათ ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნით თარიღდება, თუმცა ეს წინასწარი მოსაზრებაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს განძი აღმოჩნდა არქიტექტურულ კომპლექსში, რომელიც ასევე უნიკალურია. სამუშაოებს სახელმწიფოც აფინანსებს, ნაწილობრივ უნივერსიტეტი, გერმანული მხარე და ა.შ“ — აღნიშნავს გურამ ყიფიანი.

ილიაუნის ვიზუალური ანთროპოლოგიის და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიისა და ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა ხელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი ექსპედიცია გერმანული მხარის მიერ იყო დაფინანსებული. მთა ნაზარლებზე მდებარე გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნაქალაქარის შესწავლა 2 წელია მიმდინარეობდა და მეცნიერები ვარაუდობენ, რომ იქ კიდევ ბევრი მასალა იქნება საინტერესო.

არჩევნების მეორე ტური და პარტიათა ლუსტრაცია...

არჩევნების მეორე ტურის თარიღი ჯერ არ გამოცხადებულა, თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიას განაგრძობენ. ძალთა გადანაწილებაც უკვე მოხდა და ბევრი პარტიის ლუსტრაციაც. საზოგადოების ყველაზე დიდი გაოცება მაინც სკანდალურად „განქორწინებული“ პარტიების შერიგებამ გამოიწვია.

„ნაციონალებისა“ და „ევროპელების“ დიდი შერიგება ვის წაადგება და რა ფორმით შეიძლება ერთ დროს ერთიანმა პოლიტიკურმა ძალამ ერთმანეთი გამოიყენოს?- პოლიტოლოგების ნაწილი ფიქრობს, რომ ამ შერიგებით „ევროპული საქართველო“ დარჩება წაგებული, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი მათი მხარდამჭერების ხმებით იხეირებს. რა გარიგება შეიძლება შემდგარიყო უგულავა-ბოკერიასა და სააკაშვილის გუნდს შორის? პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, სააკაშვილი „ევროპელებს“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ადგილებს დაჰპირდა. თუმცა „ევროპელებს“ ურჩევენ, რომ არ ენდონ მას, რადგანაც თუ დასჭირდა, ყველა იმ ათ პარტიასთან ერთად, რომლებთანაც საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გაერთიანდა, მათაც გარეთ, პარალმენტის მიღმა დატოვებს. ანალიტიკოსების ნაწილი კი, პირიქით, ვარაუდობს, რომ „ევროპული საქართველო“ და გრიგოლ ვაშაძე, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, სააკაშვილს თავიდან მოიშორებენ. მათი აზრით, ვინც სააკაშვილს იცნობს, ყველამ იცის, რომ ის მეორე კაცად ყოფნას არ დასთანხმდება და ვაშაძეს გვერდით გასწევს. ამიტომაც პრეზიდენტობის კანდიდატს მხარდამჭერები სჭირდება და ვინ, თუ არა ბოკერია და უგულავა, რომლებიც ხელისუფლების მართვაში ასეთი გამოცდილები არიან.

ფინეთის დედაქალაქში „ნაციონალური მოძრაობიდან“ განდგომილი „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა მიხეილ სააკაშვილს გრიგოლ ვაშაძესთან ერთად შეხვდა. საუბრის თემა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური და სამომავლო გეგმები იყო. გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ე.წ. ყოფილ თანაგუნდელებს ერთმანეთთან ურთიერთობის პრობლემა არ აქვთ. – „მე გიგის მადლობა ვუთხარი მართლა ძალიან მაგარი პოზიციის გამოხატვისთვის, ეხლა რაც გააკეთა გიგიმ და სხვა ლიდერებმა... ახალი ერთობა იქმნება, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ეს ორი პარტია, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ჩვენი ურთიერთობებია“, - თქვა მიხეილ სააკაშვილმა „რუსთავი 2“-თან. ოფიციალურად ეს სააკაშვილი-უგულავას პირველი შეხვედრა იყო მას შემდეგ, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ რამდენიმე ადამიანი გამოეყო და ახალი პარტია „ევროპული საქართველო“ ჩამოაყალიბა. „ევროპული საქართველო“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 2017 წლის იანვარში გამოეყო. მაშინ გამართულ ბრიფინგზე გიგი უგულავამ ყოფილი თანაგუნდელი მიხეილ სააკაშვილი გააკრიტიკა და „ჯართი“ უწოდა. როგორც მაშინ უგულავამ თქვა, სააკაშვილი „საკუთარი თავის პრობლემაა“ და არა ქვეყნის. „ჩვენ, პოლიტიკოსები, ყველანი ვართ მანქანებივით, რომლებიც გემსახურებით თქვენ. როცა ის მანქანა დაკარგავს თავის ფუნქციას, მაგრამ კიდევ გიყვარს, შეიძლება ის დააყენო და მოუარო, როგორც ანტიკვარს და შემდეგ ოჯახის წევრები შაბათ-კვირას გაასეირნო, მაგრამ თუ ეს ანტიკვარად არ იქცა და თუ ეს მანქანა ისევ გაწუხებს, მაშინ სხვა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღო, მაშინ ეს მანქანა შეიძლება მოისროლო ჯართში“.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „ევროპულ საქართველოს“ საკუთარი კანდიდატი - დავით ბაქრაძე ჰყავდა, თუმცა მან ხმების მხოლოდ 10.97% მიიღო. მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ „ევროპული საქართველოს“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ მეორე ტურში „ნაციონალების“ პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს დაუჭერდნენ მხარს. პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, რომ საქართველოში მორალისტური პოლიტიკა უცხო ხილია, შესაბამისად, მათი სახეცვლილება არც არავის უნდა გაუკვირდეს. მისი აზრით, თავის დროზე „ევროპულმა საქართველომ“ ჩათვალა, რომ წონიან პოლიტიკურ პარტიას შექმნიდნენ და „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს ნახევრად მაინც გაიყოფდნენ, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. მათ მხოლოდ ამომრჩევლის 10%-მა მისცა ხმა. ამიტომაც „ევროპელებმა“ გადაწყვიტეს, რომ შეურიგდნენ მათ და ერთობლივი ძალით ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის იბრძოლონ. ძაბირაძე ამბობს, რომ უგულავა-ბოკერიას გუნდს ვაშაძის გამარჯვება იმიტომ ადარდებს, რომ ორ წელში საპარლამენტო არჩევნები იქნება და იქ ბრძოლა ადგილებისთვის დაიწყება. ახლა კი მათ გასაყოფი არაფერი აქვთ, თუმცა, როცა გაყოფის დრო დადგება, არ არის გამორიცხული, სააკაშვილმა, სხვა პოლიტიკური პარტიების მსგავსად, ისინიც გარეთ, პარლამენტს მიღმა დატოვოს. თუ „ევროპული საქართველო“ ძლიერი ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბებას აპირებდა, ამას შერიგების შემდეგ ვეღარ შეძლებენ. ისედაც არავის სჯეროდა, რომ ისინი ერთნი აღარ იყვნენ და ახლა მით უმეტეს. „მგონია, რომ ამ ყველაფრით „ევროპელები“ დაზარალდებიან, რადგანაც სააკაშვილის ნდობას დიდად არავის ვურჩევდი. ამ არჩევნებზე ვაშაძე თუ მათი მხადამჭერების ხმას მიიღებს, მას ამით არაფერი დაუშავდება, მაგრამ როდესაც საპარლამენტო არჩევნების დრო მოვა, არავინ არის დაზღვეული, რომ ადგილების გამო ესენი ისევ არ იჩხუბებენ. „სააკაშვილი, როგორც იმ ათ პარტიას, რომლებთან ერთადაც ახლა გაერთიანდა, გარეთ დატოვებს და იმავეს „ევროპულ საქართველოსაც“ უზამს. „ევროპელები“ კი ამომრჩევლის ნდობას დაკარგავენ და მათ აღარავინ დაუჯერებს. ახლა თუ 10%-იანი მხადაჭერა აქვთ, საპარლამენტო არჩევნებამდე ამ გადაწყვეტილების შემდეგ 5%-მდე ჩამოვლენ.

ლია მუხაშავრია ამბობს, რომ ვინც სააკაშვილს იცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ ის რიგით მეორე არასდროს იქნება და გვერდით არ გადგება. ეს ვაშაძესაც კარგად ესმის და ამიტომაც დასახმარებლად „ევროპულ საქართველოს“ უხმო.“ახლა მიშა ცოტა არ იყოს შავ დღეშია და მგონია, რომ მოკავშირეების ძიებაშია. არ ვფიქრობ, რომ ვაშაძე გამარჯვების შემთხვევაში სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანას მოისურვებს.“ვინც სააკაშვილს მეტ-ნაკლებად იცნობს, იციან, რომ ის მეორე კაცად ყოფნას არასდროს მოისურვებს. ამიტომ მისი საქართველოში ჩამოყვანა ვაშაძისთვის გვერდით ჩაჩოჩებას ნიშნავს. მას არავინ მოუსმენს და იქ პირველიც, მეორეც და მესამეც მხოლოდ სააკაშვილი იქნება.“ამიტომ თუ ამას „ნაციონალები“ მიხვდნენ და როგორც მე ვხედავ, მიხვდნენ, ვაშაძეს სხვა მოკავშირეები დასჭირდებოდა. ამიტომ ლოგიკურია, რომ ის უგულავასთან შეიკვრება და „ევროპულ საქართველოსთან“ დამეგობრდება. „ვინც მიშას კარგად იცნობს, მასთან უკან დაბრუნება არავის მოუნდება. მასთან ერთად რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებაში ყოფნა არამც და არამც ქართულ საზოგადოებაში ხელშემწყობი გარემოება არ არის. ამიტომ ეს ყველაფერი დროებითია, რაც ორივე მხარის ინტერესშია და დიდხანს არ გაგრძელდება“, - ამბობს ლია მუხაშავრია.

მისივე თქმით, სააკაშვილის პერსონით როგორც „ოცნება“, ასევე „ნაციონალებიც“ თამაშობენ და ამომრჩეველზე მისი პიროვნების ფაქტორს სხვადასხვანაირად იყენებენ. მმართველი გუნდი მისი პერსონით მოსახლეობას აშინებს, ოპოზიცია კი მის სახელს ამომრჩევლის მოზიდვისთვის იყენებს. მუხაშავრია ამბობს, რომ ეს ორი პოლიტიკური ძალა როგორც დასჭირდება, ისე მოიქცევა. მათ მორალური და პრინციპული მოსაზრებები არ აკავებთ.

საზოგადოების ნაწილის იმედგაცრუება გამოიწვია რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილებამ, არჩევნების მეორე ტურში ვაშაძის მხარდამჭერთა გუნდში გაერთიანების შესახებ. მათ სრულად გაემიჯნა პარტიის ყოფილი ლიდერი დავით უსუფაშვილი.

ამ ეტაპზე ძნელია, რაიმე პროგნოზის გაკეთება, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც ამ დრომდე ნეიტრალიტეტს ან დუმილის უფლებას ინარჩუნებენ, მაგრამ ფაქტია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ბევრ პარტიას „ჩამოხსნის ნიღაბს“.

მე მახსოვს 7 ნოემბერი!

უკვე თერთმეტი წელია, ამ ფრაზით იწყება 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების გახსენება. ყველას გვახსოვს 7 ნოემბრის დილა, როცა სპეცრაზმმა ოპოზიციის მხრიდან კარვების გაშლას დარბევით უპასუხა. ოპოზიციისა და ხალხის რეაქციაც ადექვატური იყო- მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა თბილისი. მაშინდელმა ხელისუფლებამ ხალხს დაშლისკენ მოუწოდა. დაუმორჩილებლობის ალაგმვა მოგვიანებით წყლის ჭავლით, მომწამვლელი გაზითა და რეზინის ტყვიებით სცადა.

რიყეზე გაქცეულებს მისდევდნენ სპეცდანიშნულების რაზმები და უმოწყალოდ უსწორდებოდნენ. მათ შორის მედიასაშუალებების წარმომადგენლებსაც. ეს ფაქტი მაშინვე შეფასდა, როგორც მედიისთვის მუშაობაში ხელისშეშლა.

მაგრამ მთავარი წინ იყო. დღის ბოლოს ყველაზე დიდი სიურპრიზი ელოდა საქართველოს.

„სახელმწიფო გადატრიალების“ ხელშეწყობაში ბრალდებული ტელევიზია „იმედი“ სპეცდანიშნულების რაზმმა დაიკავა. ჟურნალისტები უჩვეულო ვითარებაში აღმოჩნდნენ. ტელეკომპანიამ მაუწყებლობა შეწყვიტა.

იმ დღეს „დემოკრატიის შუქურა“ ჩაქრა. და გზა, რომელიც მანამდე წარმატებებით იყო აღსავსე, გამრუდდა.

ტესტი, რომელიც დასავლეთისთვის სამაგალითო „ვარდოვან ხელისუფლებას“ უნდა ჩაებარებინა, ჩავარდა. სამწუხაროდ, დემოკრატიის გზაზე მიმავლებს, ვარდზე მეტი ეკლები ამოეზარდათ და „ყვავილების დედოფლის სურნელი„ ავტოკრატიის სურვილმა გაანეიტრალა.

7 ნოემბერი იქცა წყალგამყოფად ხალხსა და ხელისუფლებას, დემოკრატიასა და დიქტატურას შორის.

იმ დღიდან დაიწყო „ვარდოვანი ხელისუფლების“ რღვევა, შეცდომების კასკადი, რომლის გამოსწორებასაც ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა. გაჩნდა მორევი, რომელიც სულ უფრო ითრევდა ძალაუფლების სურვილით შეპყრობილთ...

7 ნოემბერი საუკეთესო მაგალითია იმის, თუ როგორ არ უნდა მოექცეს ხელისუფლება საკუთარ ხალხს, როგორ არ უნდა შეიპყროს ძალაუფლების წყურვილმა და არ უღალატოს იმ იდეას, რის გამოც ხალხმა მათ ნდობის მანდატი უბოძა.

ინგა შიოლაშვილი



დაუვიწყარი შეხვედრა

სულ ცოტა ხნის წინ, დედაქალაქში, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოეტ თემურ ჩალაბაშვილის ბინაში, სააქციო საზოგადოება ყველა ასაკისათვის „ამაგდარის“ ორგანიზებით შედგა სალონური სტილის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის“ და „შირაქის“ დაარსებიდან 100 და 80 წლისთავს. შესაბამისად, შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ორივე გაზეთის რედაქციის წარმომადგენლები. შეხვედრა გახსნა „ამაგდარის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **ვახუშტი ქიზიყურაშვილმა,** რომელმაც ისაუბრა ორივე გაზეთის განვლილ გზაზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ის ერთადერთი გაზეთია, რომელმაც საუკუნეს გაუძლო, ის არ „დაინფიცირდა“ ყვითელი პრესის ვირუსით და დაარსებიდან დღემდე, არ გადაუხვევია აკადემიური სტილისთვის. ეს ის გაზეთია, რომელიც თითოეული მოქალაქის სამაგიდო გაზეთი იყო, რომელსაც მუდამ ესმოდა ხალხის ხმა და ეროვნულ ინტერესებზე იყო მორგებული.

— დღესაც მთელი შეგნებით, პასუხისმგებლობით და პროფესიული სინდისიერებით ვემსახურებით ჩვენს საყვარელ საქმეს, არ ვლალატობთ „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპს, ვცდილობთ, რეგიონების ხმაც ისმოდეს, მაგრამ თავისებური გაჭირვება მაინც გააჩინა საქპრესისა და საქართველოს ფოსტის ფუნქციების მოშლის გამო გაზეთის გავრცელების კუთხით. დაკარგა ხელმომწერი, იკლო საცალო გაყიდვების რაოდენობამაც. სურვილის მიუხედავად, ხალხს ფინანსური საშუალება აღარ აქვს, შეიძინოს გაზეთი, კომპიუტერმა და სოციალურმა ქსელმა ინფორმაციის მიღების ახალი, უფრო იოლი გზა გახსნა. თუმცა, ჩვენ არ ვნებდებით და ყველა ღონეს ვხმარობთ, ამ საუკუნოვან გაზეთს ახალი სული ჩავბეროთ და შევინარჩუნოთ მისი ფუნქციონირება. სასურველი იქნება, თუ ძლიერი საწარმოები და მათი ხელმძღვანელები დაინტერესდებიან და მხარში დაგვიდგებიან – ბრძანა თავის გამოსვლაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის ‘’ მთავარმა რედაქტორმა, დამსახურებულმა ჟურნალისტმა სპარტაკ ქობულიამ.

ოთხმოცწლიანი ისტორია აქვს დედოფლისწყაროს რაიონულ გაზეთ „შირაქს“. იგი 1937 წლის გაზაფხულზე დაარსდა, როგორც „საქნავთის“ დარგობრივი გაზეთი, სულ რამდენიმე თვეში ის რაიონული გაზეთი გახდა და აგერ, 80 წელია, რაიონის ცხოვრების მემატიანეა. ბევრი რთული დრო გაიარა ოცდაჩვიდმეტი წლების რეპრესიიდან დაწყებული მეორე მსოფლიო ომის, 1956 წლის მარტის სისხლისღვრის, 9 აპრილის ტრაგედიის, თბილისის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, 8 აგვისტოს ომების, გასული საუკუნის 90-იანი წლების სიბნელის, სიცივის, უფულობის, უგულობის, ზეწოლის და ბევრი სხვა სიძნელის ჩათვლით, ფუნქციონირება კი არ შეუწყვეტია და დღემდე მოვიდა, დღემდე, როცა სიტყვის თავისუფლება ფასობს, როცა შრომა-საქმიანობისთვის შესაბამისი პირობები გვაქვს.

ამ ხანგრძლივი შრომითი საქმიანობისთვის ორივე გაზეთი - „საქართველოს რესპუბლიკა“ და „შირაქი“, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით საზოგადოება „ამაგდარმა“ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა. შეხვედრას „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან ესწრებოდნენ დამსახურებული ჟურნალისტები: მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია, პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე, ჟურნალისტები: გია პლატონიშვილი, გია გაბრიჭიძე და ოთარ ტურაბელიძე, ხოლო გაზეთ „შირაქის“ რედაქციიდან შპს „შირაქის“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი და რედაქტორი ნაირა გორაშვილი. სამწუხაროდ, შეხვედრას ავადმყოფობის გამო, ვერ დაესწრო ღირსების ორდენის კავალერი, ოქროს ფრთის ლაურეატი, დამსახურებული ჟურნალისტი, „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

შეხვედრის მეორე ნაწილს წარმოადგენდა საზოგადოება „ამაგდარის“ და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ ნომინაციაში „საუკეთესო თამადა“ საქართველოს ფარგლებში გამოვლენილი გამარჯვებულების წარდგენა. თამადის ფენომენი საქართველოში დიდი ხანია, რაც არსებობს და ადამიანის განათლების, რიტორიკის უნარის, იუმორის გრძნობის, დეკლამაციის, ცეკვის, სიმღერის, თანამეინახეთა აყოლიების და ქარიზმატულობის ერთობლიობას ნიშნავს და ადვილი სულაც არ გახლავთ. კარგი თამადის სახელის დამკვიდრება დიდი ღირსებაა. მართალია, დღეს ზოგიერთი ახალგაზრდა თამადის ფენომენს იუმორით უყურებს, მაგრამ კარგ თამადასთან „პურის ჭამა“ ყველას სიამოვნებს. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები: **თბილისში - გურამ გოგიაშვილი და თემურ ჩალაბაშვილი, დედოფლისწყაროში - მარლენ კვაჭანტირაძე, ლაგოდეხში - ზეინალ მოდებაძე.** შეხვედრაზე მხოლოდ ორმა მათგანმა შეძლო მოსვლა:

თემურ ჩალაბაშვილი ქიზიყელი კაცია, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში დაიბადა და გაიზარდა. დღეს ის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლავთ. ალალ-მართალი ადამიანი და შესანიშნავი პოეტი გალაკტიონის, ივანე მაჩაბელის და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატია, მშობლიური სიღნაღის და თბილისის საპატიო მოქალაქის ტიტულს ფლობს. მრავალი პოეტური კრებულის ავტორია და მკითხველი კვლავაც ელოდება მისგან სულის ამაფორიაქებელ ლირიკულ შედევრებს. სამი შვილის მამას და ოთხი შვილიშვილის პაპას თბილი და ტკბილი ოჯახი აქვს.

ზეინალ მოდებაძეს კარგად იცნობენ დედოფლისწყაროშიც და ლაგოდეხშიც. ის დაიბადა და გაიზარდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში. დაამთავრა ულანუდეს ტექნიკური უნივერსიტეტი რძის პროდუქტების ტექნოლოგიის განხრით და დედოფლისწყაროს ყველ-კარაქის ქარხნის ტექნოლოგად დაინიშნა. აქ დაოჯახდა. შესანიშნავი ოჯახის პატრონი, ორი ვაჟის მამა და 9 შვილიშვილის პაპა თავს შესანიშნავად გრძნობს. თანამედროვე ცხოვრებას ფეხი მალევე აუწყო და დღეს ერთ-ერთი წარმატებული მეწარმეა. მისი ქარხნის რძის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო დედოფლისწყაროში, არამედ დედაქალაქშიც. მას მხარში მეუღლე - ქალბატონი თამარ მოძღვრიშვილი და ვაჟები ამოუდგნენ. არც მშობლიური ლელიანი მიუტოვებია და მამა-პაპისეულ ნაფუძვარზე მრავალმხრივ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. გამრჯე და მშრომელი მეურნე ხშირად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, გაჭირვებული ადამიანების გვერდში დგას და შვილებსა და შვილიშვილებსაც ამას უნერგავს.

ნომინაცია „საუკეთესო თამადა“ გამარჯვებულები საზოგადოება „ამაგდარმა“ სიგელებით დააჯილდოვა.

და ისე, როგორც სალონური სტილის შეხვედრებს შეეფერება, იყო მრავალი ლექსი, სიმღერა, მჭერმეტყველება, გამორჩეული და ორიგინალური სადღეგრძელოები, რომელიც სულის სიღრმემდე სწვდებოდა თითოეულს, აფაქიზებდა მის გრძნობებს სამშობლოსა და ადამიანების სიყვარულის კუთხით, ახსენებდა ისტორიულ და ეროვნულ ფაქტებს, მოვლენებს, აფიქრებდა დღევანდელობაზე და სამომავლო გზების ძიებისთვის განაწყობდა. მართლაც რომ, ეს იყო კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე, დღე, რომელმაც სითბო და სიყვარული აჩუქა თითოეულს და ხშირად შეხვედრის სურვილი გაუღვივა.

შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე.

ნაირა გორაშვილი

„თბილისის წიგნის დღეები – 2018“ გაიხსნა

საგამომცემლო ფესტივალი „თბილისის წიგნის დღეები 2018“ ხუთშაბათს, 8 ნოემბერს „ექსპო ჯორჯიაში“ ოფიციალურად გაიხსნა. გამოფენაზე დილიდანვე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

გარდა წიგნებისა, ფესტივალის საგამოფენო სივრცეებში წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთები, მოეწყო სამკითხველო.

გამოფენის სტუმრები ამბობენ, რომ პირველმა დღემ მომხმარებელთა მოლოდინები სრულიად გაამართლა.

„წლებია, თბილისის წიგნის დღეებს ვესწრები. მომწონს აქაური გარემო. შესანიშნავი ფასდაკლებების გამო ყოველთვის ხელდამშვენებული ვბრუნდები სახლში და არც ეს წელია გამონაკლისი“, — ამბობს ერთ-ერთი სტუმარი.

ფესტივალში 50-მდე გამომცემლობაა ჩართული.

თბილისის წიგნის დღეები „ექსპო ჯორჯიაში“ ოთხი დღის განმავლობაში წამყვან ადგილობრივ და რეგიონულ გამომცემლობებს, კვლევის ლაბორატორიებს, წიგნის მაღაზიებს და დისტრიბუტორებს წარმოგიდგენთ. მე-5, მე-6 მ და მე-11 პავილიონებში დაგეგმილია მრავალფეროვანი ღონისძიებები — პრეზენტაციები გამომცემლობებისგან და ავტორებისგან, წიგნის ხელოვნების ფესტივალი, ლექციები, მასტერკლასები, გამოფენები და გასართობ-ინტელექტუალური პროგრამები ბავშვებისა და მოზარდებისთვის.

ოთხი დღის განმავლობაში სტუმრებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ყველა წიგნზე, რომელიც წარმოდგენილია ქართულ ბაზარზე.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება პრეზენტაცია 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის შესახებ, გამოიფინება წიგნების ილუსტრაციები, სხვადასხვა გამოფენა, ასევე 14 ქართველი ილუსტრატორის მიერ დასურათხატებული 21 ხალხური ზღაპრის კრებული, გაიმართება პოლონური დიზაინის კვირეული, შეირჩევა საუკეთესო დიზაინის წიგნი, ჩატარდება აქცია სახელად „გავცვალოთ წიგნები“... გათვალისწინებულია ცალკე პროგრამა ბავშვებისთვისაც.

„თბილისის წიგნის დღეები–2018“ 11 ნოემბრამდე გასტანს. ოთხი დღის განმავლობაში დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი სასურველი წიგნები, ბესტსელერები 50%-მდე ფასდაკლებით შეიძინონ.

ეს ფესტივალი წლებია, რაც საქართველოში იმართება. მას ყოველწლიურად უამრავი მომხმარებელი სტუმრობს.

ღვინის საერთაშორისო კონკურსს „საქართველო — ღვინის სამშობლო“ თბილისი მასპინძლობს

თბილისში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო კონკურსი EAWSC „საქართველო - ღვინის სამშობლო“ 7 ნოემბერს გაიხსნა. კონკურსი საქართველოში პირველად იმართება და მის მიზანს ქართული ღვინის მაღალი პოტენციალის დემონსტრირება, მისი ხარისხის განმტკიცება და ქართველი მეღვინეების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობა წარმოადგენს.

ღონისძიების მიზანია ევრაზიის ქვეყნების და განსაკუთრებით, საქართველოს ღვინოების ხარისხობრივი პოტენციალის წარმოჩენა და მათი დამკვიდრება საერთაშორისო ბაზრებზე“, — განაცხადა ენოლოგთა კავშირის პრეზიდენტმა მურმან ქურიძემ.

კონკურსის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას „ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის” (OIV) პრეზიდენტი ჟან-მარი ორანი, საქართველოს პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე და საქართველოს ენოლოგთა კავშირის პრეზიდენტი მურმან ქურიძე დაესწრნენ.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ღვინის წარმოების უძველესი ისტორია აქვს და ჯიშების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მსგავსი კონკურსები ქართულ ღვინოს მეტად პოპულარულს ხდის საერთაშორისო ბაზარზე“, — განაცხადა „ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის” (OIV) პრეზიდენტმა ჟან-მარი ორანმა.

კონკურსში 12 ქვეყნიდან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, მოლდოვა, სლოვაკეთი, რუსეთი, ჩეხეთი, უკრაინა, ბელარუსი) 78 კომპანიის 200-ზე მეტი სახეობის ღვინის ნიმუშია წარმოდგენილი, რომელსაც ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები შეაფასებენ.

კონკურსში გამარჯვებული ღვინოები და სპირტიანი სასმელები 9 ნოემბერს, კახეთში, „შატო ზეგაანში“ დასახელდება. კონკურსის შედეგად საუკეთესოდ დასახელებული ღვინოების შესახებ სტატიების გამოქვეყნებას პოპულარული ამერიკული ჟურნალი **„Wine Spectator“** გეგმავს.

„ეს ჩემი სამშობლოა, რომელსაც არ ვიცნობ“

ტურიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსთვის, რადგან ის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა თავისი ლამაზი ბუნებით, ისტორიული ძეგლთა და შენობა-ნაგებობებით, მრავალხმრივი ლანდშაფტითა და სტუმართმოყვარე ხალხით. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია უცხოელი ტურისტებისთვის, მაგრამ იმისათვის, რომ უკეთ გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, ჯერ ჩვენ, მისი შვილები, უნდა ვიცნობდეთ მას კარგად. სწორედ, შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, 13 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტური მოეწყო ახმეტის მუნიციპალიტეტში, სადაც დედოფლისწყაროსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მოსწავლე-ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. **დეტალებზე გაზეთ „შირაქს“** მაია ლამაზოშვილი, **არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი ესაუბრა.**

— ქალბატონო მაია, რომელი პროექტის ფარგლებში იყავით მიწვეული ახმეტის მუნიციპალიტეტში, ვინ ახორციელებს ამ პროექტს და როდის დაიწყო პროექტზე მუშაობა?

პროექტი „ეს ჩემი სამშობლოა, რომელსაც არ ვიცნობ“ 2017 წლის ლიდერთა ფორუმზე გამარჯვებული პროექტია, რომელზე მუშაობაც 2017 წლის პირველ აპრილს დაიწყო. პროექტი შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ. მის განხორციელებაში მონაწილეობა 6 თემის საინიციატივო ჯგუფმა და ორგანიზაციამ მიიღო: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა „ალვანის საბჭო“, ზემო ხოდაშენის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა, ა.ა.ი.პ „ჯოყოლო-XXI“, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციამ „მწვანე ველი“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფმა და სოფელ ხორნაბუჯის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა - „ხორნაბუჯი - თამარის ციხე“.

— რა არის ამ პროეტის მიზანი?

პროექტის მიზანი შიდა ტურიზმის განვითარება და მისი პოპულარიზაციაა: ახმეტის, ბორჯომისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ გაძლიერებას.

— რა მოინახულეთ ამ პროექტის ფარგლებში და რა სახის ღონისძიებები გაიმართა?

პროექტის ფარგლებში მოეწყო საინფორმაციო ტური სამ მუნიციპალიტეტში:

ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა წაღვერის საჯარო სკოლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებიდან არბოშიკისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ ახმეტის მუნიციპალიტეტს. დაათვალიერეს: სოფელ დუისში არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმი, ამფითეატრი, სოფელ ჯოყოლოში მდებარე ქრისტიანული ტაძარი (რომელსაც დღემდე უვლიან და პატრონობენ), მეჩეთი, მოვინახულეთ ულამაზესი ბაწარას ხეობა, ტურისტული კომპლექსი „სპეროზა“.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ჯოყოლოს თემიდან ჯოყოლოსა და ბირკიანის საჯარო სკოლის, ალვანისა და ზემო ხოდაშენის სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტს. დაათვალიერეს: ბორჯომის ეროვნული პარკი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ტიმოთესუბნის მონასტერი, წაღვერის მინერალური წყლები და ეიფელის ხიდი. ბავშვებს მივაწოდეთ ინფორმაცია ბორჯომის, ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში არსებული დაცული ტერიტორიებისა თუ ტურისტული დანიშნულების ობიექტებზე, რომელსაც ისინი შემდეგ თანატოლებსა და მოსახლეობაში გაავრცელებენ. საინფორმაციო ტურის დასასრულს მოეწყო სახალისო-შემეცნებითი ვიქტორინა, სადაც დაისვა კითხვები დაცული ტერიტორიების შესახებ. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ შემეცნებითი წიგნებით. ჩატარდა სამი შემეცნებითი ტური და სულ დაჯილდოვდა 9 მოსწავლე.

— როგორ გაგრძელდება ამ პროექტზე მუშაობა და რა იგეგმება სამომავლოდ?

პროექტის ფარგლებში დაიბეჭდება ბუკლეტები ახმეტის, ბორჯომისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ, რომელიც გავრცელდება საინფორმაციო ცენტრებში. ასევე დავამზადებთ ვიდეო რგოლს, რომელიც აიტვირთება სოციალურ ქსელში. მოხდება აგრეთვე ხუთივე თემის მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელება. ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული ძეგლებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ, რათა ახალგაზრდები დაინტერესდნენ საკუთარი ქვეყნით. ვფიქრობთ, რომ ჩვენი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მისაბაძი გახდება სხვა მუნიციპალიტეტებისათვისაც, ასევე ხელს შეუწყობს მათ დაახლოებასა და შიდა ტურიზმის განვითარებას. ეს არის ერთობლივი მუშაობისა და მომავალში საერთო პროექტების განხორციელების კარგი გამოცდილება, რისთვისაც მადლობა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს. მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ ნახსენებ აქტივობებს თან ახლდა მასპინძლების თბილი დახვედრა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ყოველთვის გვერდში დგომისთვის კი განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„პედაგოგთა პროფკავშირი ჩვენი ოჯახია“...

სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის VI საანგარიშო კონფერენცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა.

რამდენიმე დღის წინ ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირების ყრილობა. დელეგატებმა კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში წარმოადგინეს ახალი წინადადებები და იდეები, რომლებიც მასწავლებელთა უფლებების დაცვას მეტად შეუწყობს ხელს. ყრილობას წინ უძღვოდა რაიონული კონფერენცია, რომელზე განხილულმა საკითხებმაც განსაზღვრა ყრილობის დღის წესრიგი.

გაგაცნობთ მასალებს „ჩვენი ყოველი შეხვედრის დროს, თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ამაღლებული განწყობა და განცდა, რომ სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია ჩვენი ოჯახია„ - ამ პათოსით გახსნა საანგარიშო კონფერენცია დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მაყვალა მაძღარაშვილმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებების სპმთპ-ს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების კრებებზე არჩეულმა 56 დელეგატმა, სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ, ვიცე—პრეზიდენტებმა ნათია კორძაძემ და მარი ალულიშვილმა. კონფერენციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და მერიის უფროსი სპეციალისტი ნანული ნატროშვილი. სპმთპ-ს დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მაყვალა მაძღარაშვილმა მადლიერება გამოხატა საანგარიშო პერიოდში სპმთპ-ის ხელმძღვანელებისა და ცენტრალური ოფისის ძალისხმევით ამაღლდა დასაქმებულთა ნდობის ხარისხი პროფკავშირისადმი და 2015 წელს ორგანიზაციას 300-ზე მეტი წევრი შემოუერთდა. შესაბამისად, დასაქმებულთა 84 % პოფკავშირის წევრია. სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია აერთიანებს 14 საჯარო სკოლას, ერთ კერძო სკოლასა და 17 საბავშვო ბაგა-ბაღს. დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მაყვალა მაძღარაშვილმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, აქტიური თანამშრომლობისა და პედაგოგთა მხარდაჭერისათვის. მან, ორგანიზაციის კრიზისის წლებში, პედაგოგთა უფლებების შელახვა და სტრესულ გარემოში მუშაობის პერიოდი გაიხსენა. მაყვალა მაძღარაშვილმა პოზიტიური და შედეგიანი უწოდა, უკანასკნელ წლებში, ხელისუფლებასა და პედაგოგთა პროფკავშირს შორის ჩამოყალიბებულ თანამშრომლობას, რომლის მიზანია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების გარემოს შექმნა და მასწავლებლების მხარდამჭერი პროგრამების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდისთვის, დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წევრთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ჩატარებულია ტრენინგები საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის საგნობრივი ჯგუფების მიხედვით და პროფესიულ უნარებში; განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების, გაკვეთილის დაგეგმვის მოდულებში; საკონსულტაციო სემინარები თვითშეფასების კითხვარის შევსების, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენისა და პედაგოგის პორტფოლიოს წარმოების შესახებ. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლებისა და ბაგა-ბაღების დირექტორებისთვის ჩატარებულია ტრენინგ-სემინარები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ადმინისტრირებისა და მართვის თემებზე, აღმზრდელ-პედაგოგებისთვის — თანამედროვე მეთოდები და სტანდარტები, ფსიქოლოგია და ინკლუზია, სასკოლო მზაობის პროგრამა. 2016-2018 წლებში, სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციას წევრთა პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის ორგანიზებული აქვს 36 ტრენინგი საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის, სწავლების ხარისხის ამაღლების და სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების მიზნით ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობა მიიღო 425 წევრმა. სპმთპ-ის იურიდიულმა დეპარტამენტმა წევრებს გაუწია უფასო იურიდიული კონსულტაციები და მომსახურეობა სასამართლო დავების დროს. შრომითი ხელშეკრულების დადების, თუ ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, წევრის ყოველ მომართვაზე იყო მყისიერი და სათანადო დახმარება. 2016 წელს სასამართლოს გზით მოხერხდა ს. არხილოსკალოს გათავისუფლებული მასწავლებლის სკოლაში დაბრუნება. დედოფლისწყაროს რაიონის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს სპმთპ-ისა და დანიის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელთა პროფკავშირის ერთობლივი საპილოტე პროექტის 4-დღიან ტრენინგებში. პროფაქტივისთვის ჩატარდა სემინარი პროფკავშირის არსის, მიზნებისა და სტრუქტურის შესახებ. სპმთპ-ის დედოფლისწყაროს ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრებო და სახელისუფლებო ორგანოებთან, აგრეთვე ადგილობრივ მასმედიასთან. დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წევრები ჩართულები არიან პროფკავშირის ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სარგებლობენ დასვენების პროგრამებით და სპეციალური შეთავაზებებით. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, დედის, ქალთა საერთაშორისო და ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებები, მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღსანიშანავად ჩატარებული შეხვედრები ღვაწლმოსილ პედაგოგებთან. სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წევრები სისტემატიურად სარგებლობდნენ საზაფხულო და ზამთრის კურორტებზე დასვენების საგზურებით, შეღავათიან ფასებში. სპმთპ-ის პრეზიდენტის მაია კობახიძის შემაჯამებელი 4-წლიანი ანგარიშის შემდეგ გაიმართა დისკუსია და კონფერენციის დელეგატებმა ისაუბრეს თავიანთი საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის საჭიროებებზე. კონფერენციის დელეგატებს მიესალმა დედოფლისწყაროს რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი: „მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი მაია სიკეთეს, სითბოსა და სიყვარულს ასხივებს. ეს კი ყველასთვის გადამდებია. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმ გაწეული საქმისთვის, რასაც პედაგოგებისათვის აკეთებთ. სპმთპ პედაგოგების უბადლო დამცველია. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მაყვალას, იმისათვის რომ გვერდით უდგას ყველა პედაგოგს. ჩვენ კარგად ვთანამშრომლობ, ვინაიდან ჩვენი საქმე არის პედაგოგებთან მუშაობა და ჩვენი ყველას საზრუნავი - მომავალი თაობის აღზრდა, რომელსაც ვემსახურებით. ეს არის სოლიდარობა. სნორედ, სოლიდარობითა და ერთობით ვივლით წინ. კონფერენციის დელეგატებს მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა: „მადლობა თქვენ ყველას, მადლობა პროფკავშირებს, რომ არსებობთ და იბრძვით. დღეს ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაუმჯობესდა პედაგოგთა მდგომარეობა, როგორც სოციალური, ასევე სულიერი. მასწავლებელს აღარ ემუქრებიან სამსახურიდან გაშვებით. მადლობა უნდა გადაგიხადოთ ქალბატონო მაია კონსტრუქციული ოპონირებისათვის. დიალოგი მისაღებია და მისასალმებელია ნებისმიერი გონიერი ხელისუფლებისათვის, არაგონიერნი როგორ ასრულებდნენ ამას, სამწუხაროდ გვაქვს გამოცდილება უახლოეს წარსულში. მე ვთვლი, რომ პედაგოგს უნდა ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურებაც და საზოგადოებაში ღირსეული სტატუსიც...“ სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე აირჩიეს სპმთპ-ის IX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ოთხი დელეგატი. დასასრულს, ათ ღვაწლმოსილ პროფკავშირის წევრს და სოციალურ პარტნიორებს გადაეცათ მადლობის სიგელები.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1956 WLIS NOEMBERI

● SAMOMXMAREBLO KOOPERACIIS MUSAKTA VALIA DROULAD UZRUNVELYON SABWOTA MOQALAQEEBIS GAZRDILI MOTXOVNILEBA TANSACMELZE, FEXSACMELSA DA PRODUQTEBZE, ASEVE FARTO MOXMAREBIS SAGNEBZE. MAGRAM, SAMWUXAROD, WITELWYAROS RAIONIS SOFEL ZEMO QEDIS SOFLIS KOOPERATIVIS MUSAKEBMA DREMDE VER SESZLES DAEKMAYOFILEBINAT ARXILOSKALOS MOSAXLEOBA PIRVELI MOXMAREBIS SAGNEBITACKI. ARXILOSKALOELI KOLMEURNEEBI GULISTKIVILITARNISNAVEN, ROM MARAZIASI MEORE WELIA, RACBAVSVIS FEXSACMELEBI AR MOUTANIAT, ARADA SXVASASOFLO MARAZIEBSI GAIYIDA. AM MARAZIASI KI ARARIS SAKONDITRO NAWARMI DA SXVA. QEDIS SOFLISKOOPERATIVIS GAMGEOBAM YURADREBA UNDA MIAQCIOSARXILOSKALOS MACXOVREBLEBIS SAMARTLIAN MOTXOVNAS DA DROULAD ARMOFXVRAN ES WARMOUDGENELINAKLOVANEBANI.

● `SSR KAVSIRIS MINISTRTA KABINETIDADGENILEBIT _ MASWAVLEBELTATVIS SERAVATBISA DA UPIRATESOBIS MINIWEBIS SESAXEB SASOFLO SABWOEBIS ARMASKOMEBS EVALEBAT SOFLMASWAVLEBLEBI UZRUNVELYON SACXOVREBELI BINEBIS GATBOBA-GANATEBIT DA SAKARMIDAMO NAKVETEBIT. SASOFLO SABWOEBIS ARMASKOMEBI DREMDUSULGULOD EKIDEBIAN MIS SESRULEBAS. IMISGAMO, ROM ARXILOS KALOSI AR ARSEBOBSMASWAVLEBELTA SAXLEBI, TVITOEULI MASWAVLEBELI QIRAOBS OTAXS DA YOVELTVIURAD IMAZORJER MET TANXAS IXDIS BINIS QIRASI, RASACMAS SAXELMWIFO UXDIS KOMUNALURI DAXMAREBISAXIT. GARDA AMISA, AR ZRUNAVEN AM BINEBISGATBOBA-GANATEBISA DA SAKARMIDAMO NAKVETISGAMOYOFIS TAOBAZE. ASE GAGRZELEBA ARAR SEIZLEBA. MASWAVLEBELTA SAMARTLIAN MOTXOVNYURADREBA UNDA MIEQCES,~ - ATYOBINEBS REDAQCIAS ARXILOSKALOS SASUALO SKOLIS DIREQTORI A. CAKASVILI.

● WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVS MARQSIS QUCAZE AQVS PURIS SACXOBI, ROMELIC MUSAOBS MZIME SAWVAVI MASALIT. MAZUTIS WVIS SEDEGADWARMOSOBILI WVARTLI IRGVLIV EFINEBA, ANTISANITARIAS QMNIS IQVE AXLOS MDEBARE SAKOLMEURNEOBAZARSI DA SASISROEBAS UQMNIS FURNIS IRGVLIVMACXOVREBLEBS. AM SAKITXZE RAMODENIMEJER MIVMARTET SATANADO ORGANOEBS. 1952 WELS DADGENILEBAIQNA MIREBULI, FURNES SXVA ADGILZE GADATANISSESAXEB. MAGRAM RAIKOOPERATIVISA DA SOFLIS KOOPERATIVIS XELMZRVANELOBA DADGENILEBAS AR ASRULEBS. SAINTERESOA, RODIS DAKMAYOFILDEBA XALXISSAMARTLIANI MOTXOVNA?

1977 WLIS NOEMBERI

● QALAQ WITELWYAROS KINOTEATRSI TURQULI FILMI `MXURVALE MIWA~ GADIS. IS RARIBI COLQMRIS TRAGIKUL BEDZE MOGVITXROBS. SIRVANI DAMISI MEURLE DREDARAM SROMOBEN, MATI CXOVREBAKI WIN AR MIDIS. BOLOS DARWMUNDNEN UTAVBOLOSROMIS UAZROBASI. GAYIDES NAKVETI DA BORANISGAKETEBAS APIREBEN. MAGRAM ADGILOBRIVI BOBOLACELO FXIZLADAA DA OMS UCXADEBS SIRVANS. TUROGOR MTAVRDEBA TURQULI KINO, ES WITELWYAROEL KINOMOYVARULEBS SEUZLIAT TVIS BOLOMDENAXON FARTO EKRANZE KINOTEATRSI.



წითელწყაროს მეფრინველეობის რეპროდუქტორის მშენებარე ფართო კომპლექსი – 1977 წ.

● FOSTALIONMA GIORGI BUCUKURS WERILI GADASCA. ARXILOSKALOELI KOLMEURNES SIXARULS SAZRVARI AR HQONDA. SVILIS WERILI EGONA. SWRAFAD GAXSNA, MAGRAM RUSULI BARATI DAXVDA. SAMXEDRO NAWILIS METAURI GIORGIS DA MIS MEURLES MADLOBAS UZRVNIDA SVILIS KARGAD ARZRDISTVIS. BARATI ITYOBINEBODA, ROM ZURAB BUCUKURI KETILSINDISIERAD ASRULEBS MASZE DAKISREBUL AMOCANEBS DA DISCIPLINITAC GAMOIRCEVA. WERILMA ARA MARTO MSOBLEBI, MISI MEURLE ZOIAC GAAXARA. ISINI AMAYOBEN, ROM ZURABI MXEDRUL MOVALEOBAS PIRNATLAD DAASRULEBS DA OJAXS VALMOXDILI DA SAXELOVANI DAUBRUNDEBA.

1979 WLIS NOEMBERI

● SOFEL MIRZAANSI N. FIROSMANASVILIS SAXLMUZEUMIS SAEQSPOZICIO DARBAZI GAIXSNA. ASETI XALXMRAVLOBA NIKALAS SOFELS DA MIS KAR-MIDAMOS AR AXSOVS. DILIDANVE SOFLIS GZEBI DA BILIKEBI XALXIT GAIVSO. PATARZALIVIT TETR KABASI GAMOWYOBIL MUZEUMTAN, ROMLIS XORCSESXMAC SAQARTVELOS SAMXATVRO AKADEMIIS ARQITEQTOR GURAM BAQRAZES EKUTVNIS, RAMDENIME ATASMA ADAMIANMA MOIYARATAVI. STUMREBI CAMOVIDNEN MOSKOVIDAN, FEDERACIULI DA DEMOKRATIULI GERMANIIDAN, SAFRANGETIDAN. ASEVE, KAXIS RAIONIS SOFEL ALIBEGLOS SKOLIS DIREQTORI BORIS ATANASVILI. LENTI GAWRA DA



სოფელი მირზაანი. ფიროსმანის ეზო კარ მიდამო დიდი მხატვრის სახელობის დღესასწაულს ზეიმობს – 1979 წ.

SAEQSPOZICIO DARBAZIS KARI PIRVELMA SEARO SAXALXO MXATVARMA LADO GUDIASVILMA. SAQARTVELOS SAXELMWIFO MUZEUMMA AXAL DARBAZSI NIKALAS 60-ZEMETI ORIGINALI GAMOFINA. SEMDEG SEDGA MITINGI DA SITYVIT GAMOVIDNEN ROGORC WITELWYAROS DEPUTATEBI, ISE SKOLIS MOSWAVLEEBI, SAXLMUZEUMIS DIREQTORI ANZOR MAZRARASVILI DA GERMANELI MXATVARI HERBERT LANGE. MUZEUMIS GAXSNA DIDSAXALXO DRESASWAULAD GADAIQCA. STUMREBS GULUXVAD MASPINZLOBDNEN MIRZAANELEBI DA MACXAANELEBI. SEMDEG FILARMONIISA DA ADGILOBRIVI ZALEBIT KONCERTI GAIMARTA.

● SOFEL ARBOSIKIDAN NORCI FEXBURTELEBIS WERILI MIVIRET, SADAC NATQVAMIA, ROM SAFEXBURTOMOEDANI SINAURI CXOVELEBIS SAJIRITODAA GAMXDARI DA YURADREBAS ARAVIN AQCEVS. `SPORTS BAVSVOBIDAN TU AR DAEUFLE, MERE GVIAN IQNEBA, AMITOMNORCI AXALGAZRDEBI MZAD VART XELMZRVANELOBASDAVEXMAROT~ - GVWERDNEN FEXBURTELEBI. ARBOSIKIS SASOFLO SABWOS TAVMJDOMARE AMXANAGI OTARASVILIGVATYOBINEBS, ROM ARMASKOMMA GAMGEOBASTAN GANIXILASAKITXI DA DASAXA RONISZIEBANI MOEDNIS DASACAVAD.

● QALAQSI, YOFILI JARISWYLIS EZO KETILMOUWYOBELIA, AQ AVTOSAMRECXAOA, WYLIS AUZEBI ARIKETEBA DA WYALI BINZURDEBA. UWYLOOBIT SEWUXEBULI XALXI KI IZULEBULIA DABINZUREBULI WYALISASMELAD GAMOIYENOS. SAMRECXAOS WIN KI MRAVALMANQANA IYRIS TAVS. AMAS EMATEBA AQVE SASADILOSI SESUL MOSADILETA AVTOMANQANEBIC. QUCA ISEIXERGEBA, MANQANA KI ARA FEXIT MOSIARULEC VERARGAIVLIS. QUCAZE UAMRAVI ORMOA, ATXRIL-DATXRILGZA YVELAS AFERXEBS.

● ADRE WITELWYAROSI, AVTOBUSEBIS GACEREBASTAN ARSEBOBDA SASADILO. XSIRI KRITIKIS SEMDEGIS GAAUQMES DA AXALI WAMOWIMES. MOSAXLEOBAM ISEVAFRINA TXOVNIS QARALDEBI, IRBINES SXVADASXVATANCIEBSI, SASADILOS CXVIRWIN NU GAGVIXSNITO, MAGRAM RARADS ARAVIN USMINA. AQVEA SAYOFACXOVREBOSAMMARTVELOS SAAMQROEBI, MAT SORIS SAMXATVROSAAMQRO. SAMXATVROSI ARAFERI MIUGAVS, BNELI DAKETILMOUWYOBELIA, AQ ARAVITARI PIROBEBI AR ARSEBOBS. SAAMQROEBIS WIN DGAS SASADILOS TUALETIROMELIC XSIRAD AR IWMINDEBA. SEWUXEBULNI ARIANSAAMQROSI. QALAQIS AM PATARA KUTXES SERIOZULIMIXEDVA SWIRDEBA. ARCERTI OBIEQTI AQ SESAFERISADGILAS AR ARIS..

(STILI DACULIA)

მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

მორიგი ტრაგედია

ავტოსაგზაო შემთხვევას დედოფლისწყაროში მცხოვრები 24 წლის სოსო ჯალიაშვილი ემსხვერპლა. უბედური შემთხვევა თერჯოლაში 6 ნოემბერს, შუადღისას მოხდა. ავარიის შედეგად სულ 4 ადამიანი დაშავდა. დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები თბილისიდან ზუგდიდში, მეგობრის დის ქორწილში მიდიოდნენ. თვითმხილველების მტკიცებით, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ჯერ ბოძს შეეჯახა, შემდეგ კი გზიდან გადავიდა და ცეცხლი გაუჩნდა. მერსედესის მარკის ავტომობილი მთლიანად დაიწვა.

დაშავებულები თერჯოლისა და ზესტაფონის საავადმყოფოებში გადაიყვანეს. მძღოლის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო, ამიტომ ის ზესტაფონის ჯეოჰოსპიტალსის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. დანარჩენი დედოფლისწყაროელები მძიმედ არ დაშავებულან.

„24 წლის მამაკაცი რეანიმაციაში იმყოფებოდა პოლიტრავმის დიაგნოზით, უმძიმეს მდგომარეობაში. დაუყოვნებლივ ჩაუტარდა რეანიმაციული ღონისძიებები, კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები. მეორე ახალგაზრდას თავის ტვინის შერყევა აღენიშნებოდა. მულტიპროფილურ განყოფილებაშია, ყვენალაირი კვლევა ჩაუტარდა და მისი მდგომარეობა სტაბილურია,“ – აცხადებდა ზესტაფონის ჰოსპიტალის ემერჯენსის ექიმი თამარ გოცაძე.

„ჩვენთან 21 წლის მამაკაცი შემოიყვანეს. მას ორივე კიდურის წვივის ძვლის მოტეხილობა აღენიშნებოდა. ჩაუტარდა ყველანაირი კომპიუტერული გამოკვლევა, ყველა კვლევებით გამოირიცხა სხვა რაიმე რთული დაზიანებები. საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სხვა ჩივილები არ ჰქონია“ – განუცხადა „შირაქს“ იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის დირექტორმა დავით სარიშვილმა.

მოგვიანებით ავტომანქანის მძღოლი **სოსო ჯალიაშვილი** ჩატარებული გადაუდებელი დახმარების მიუხედავად, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ავარიაში მოყოლილი ადამიანების ახლობლის თქმით, ისინი მაღალი სიჩქარით არ მიდიოდნენ, მათ გზა მანქანამ გადაუჭრა და შეჯახების თავიდან აცილების მიზნით, მანქანა გზიდან გადავიდა.

„მაღალი სიჩქარით არ მივდიოდით, რადგან კოლონაში ვიდექით და თან ვიდეო-გადამღებიც მოგვყვებოდა და ვიღაცამ გზაზე გადმოურბინა და აარიდა, რადგან ყველა ვარიანტში მას ეჯახებოდა და ის არც იხედებოდა აქეთ, ისე გადმოხტა ჩვენს გზაზე,“ – ამბობს ერთერთი მგზავრი დაშავებულების მეგობარი გიორგი პაპუაშვილი.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

„შირაქის“ არქივის მიხედვით, ბოლო ორ წელიწადში ავტოავარიებს 10-ზე მეტი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდას სიცოცხლე შეეწირა.

ილია მარტყოფლიშვილი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ტრაგედიის გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

უახლოესი მეზობლები: ზურა წიკლაური, გივი მენთეშაშვილი, ზურა გიგოლაშვილი, თეა ჭუჭულაშვილი, ვასო ჯაგოდნიშვილი, ცუცნა ტუსაშვილი, ვალერი იაკობიშვილი, სოსო საბიაშვილი ოჯახებით უღრმეს სამძიმარს უცხადებენ ლანა ჯალიაშვილს ძმის და ლაშა ნარეკლიშვილს ცოლის ძმის

სოსო ჯალიაშვილის

გარდაცვალების გამო.

წარწერიდან — ნახატამდე, ანუ გრაფიტის ხელოვნება

„ხელოვნება ცხოვრების სარკე არ არის, ის მხოლოდ მაყურებელს აირეკლავს“

ოსკარ უაილდი

სამყარო ცვალებადია. სამყაროსთან ერთად მისი განუყოფელი ნაწილებიც ცვალებადნი არიან. ჩვენც კი, ადამიანებიც, რომლებიც თითქოს ყველაფერს ვაკონ-

ტროლებთ, ყოველდღიურად ვიცვლებით. შესაბამისად, ყოველდღე განსხვავებული თვალით ვუყურებთ ჩვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ხელოვნება კი ის სფეროა, სადაც ადამიანი ყველაზე მეტადაა თავისუფალი,



ყველაზე მეტად აძლევს თავს სიგიჟის უფლებას, ხელოვნება ადგილია, სადაც თითოეული საკუთარ თავს აირეკლავს.

თუკი ვიკითხავთ, საიდან გაჩნდა ხელოვნების ის ნაწილი, რომელიც ხშირად ვანდალიზმად აღიქმება სოციუმის მხრიდან, რაც კრიმინალიცს ჰგონიათ და უმეტეს ქვეყნებში კანონითაც სჯიან მის ჩამდენს, მაშინ კითხვაზე პასუხის მისაღებად ძალიან შორს მოგვიწევს მოგზაურობა. გრაფიტის, ქუჩის ხელოვნების ისტორიის, მისი ინსპირაციის წყარო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 30000 წლის წინ უნდა ვეძებოთ. ჩვენი წინაპრები, გამოქვაბულის კედლებზე ქმნიდნენ ნახატებს, რომლებიც ნადირობას, თევზაობას ან საყოფაცხოვრებო მოვლენებს აღწერდნენ. მისი ზოგიერთი ნიმუში ძველი საბერძნეთისა და რომის იმპერიის პერიოდიდანაც შემორჩა. ადამიანები შორეული წარსულიდან, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ მათი ყოველდღიურობის აღწერა ვიღაცისთვის იდეების გენერატორი გახდებოდა და პირველ წყაროდ გრაფიტის ხელოვნებას დაედებოდა. ყველაფერს აქვს ისტორია, ყველაფერს აქვს დასაწყისი და გრაფიტის ისტორიაც არაა გამონაკლისი. მისი განვითარება თან სდევს კაცობრიობის განვითარების ისტორიას. ვითარდებოდა კაციობრიობა, ვითარდებოდა გრაფიტიც. შესაბამისად, ის მხოლოდ წარწერები ან ნახატები კი აღარ არის შენობებისა და გადასასვლელების, მატარებლის ვაგონებზე, ღობეებზე და სხვა ვეტიკალურ ზედაპირებზე, დღეს ის ურბანული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად და თანამედროვე ხელოვნების, ახალგაზრდული თვითგამოხატვის საშუალებადაც იქცა.

ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გრაფიტი შეიძლება იყოს ყველაფერი, მარტივი წარწერიდან რთულ, ორნამენტულ, კედლის მხატვრობამდე. ქუჩის მხატვრობის თემატიკა დროსთან ერთად იცვლებოდა და დღემდე იცვლება. თუკი ადრე აქტუალური იყო სხვადასხვა ლოზუნგებისა და ციტატების გრაფიტით გამოხატვა ქუჩებში, ფასადებსა თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, შემდეგ გახშირდა პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების დახატვა, მათი გამონათქვამების დაწერა. 90-იანი წლებიდან ყურადღება ზოგადსაკაცობრიო და სოციალურ თემებს ეთმობა, მაგრამ მთავარი, რაც არ იცვლება, ეს გრაფიტის ენობრივი მხარე და მთავარი ფორმულაა, რომელიც ასე გამოიყურება: ლაკონიურობა + სიმარტივე = გამოსახულებას. ქუჩის მხატვრობა დღეს, XXI-ე საუკუნის ხელოვნების ყველაზე აქტუალური მიმდინარეობაა. იგი ტექნოლოგიების, ვიზუალური აზროვნების, მისი გამოხატვის ფორმების განვითარების შესაბამისად

განაგრძობს არსებობას. ზოგიერთი ადამიანისთვის ეს ჰობია, ზოგისთვის ცხოვრების წესი, რომელიც ხშირად

განტვირთვის და საკუთარი განწყობის გადმოცემის საშუალებასაც გაძლევს. საზოგადოება კი ორ ბანაკად იყოფა. რამდენადაა გრაფიტი ჭეშმარიტი ხელოვნება და არის თუ არა ის მართლაც ვანდალიზმი? მე, ჩემი სუბიექტური პასუხი კი არტურ შოპენჰაუერის ნათქვამში ვიპოვე: „ყველა ჭეშმარიტება გადის სამ საფეხურს: თავდაპირველად, მას დასცინიან, შემდეგ მას უხეშად თელავენ და ბოლოს მას აღიარებენ, როგორც უდავო ჭეშმარიტებას“.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ!

ქ.დედოფლისწყაროში, ჯარის წყლის მიმდებარე ტერიტორიაზე, იყიდება 702 კვ.მ ფართის შენობა - ნაგებობა აუზით და დარბაზით. შენობაში არის აუთვისებელი ფართიც. შესაძლებელია, ფართის დაყოფაც. შენობა-ნაგებობას აქვს ამავე ფართის პადვალიც. ფასი შეთანხმებით.

☎ 577 211 642; 599 90 25 82; ნოდარ პაპაშვილი

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ!

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟუნი, 3 ოთახი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი გაზით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება. გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდი 52.06.37.039 სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 15,000 ლარი.

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ — ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

	ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 12.11		ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 13.11		ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 14.11		ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 15.11		�პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ 16.11		ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 17.11		ᲙᲕᲘᲠᲐ 18.11	
	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ
	8°	5°	5°	4°	4°	3°	6°	4°	6°	3°	9°	5°	6°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.